ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48221657**

თარიღი:**14/06/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურსა და ზედამხედველობის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ღ'' ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 102-ე,103-ე,104-ე მუხლებისა და ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5, მე-8, მე-9, მე-10 მუხლების შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დაიწყოს რეორგანიზაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში სოციალური დაცვის განყოფილების გაუქმების , ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ახალი განყოფილების შექმნის მიზნით. აღნიშნულმა რეორგანიზაციმ მოიცვას რეორგანიზაციის დაგეგმვისა და რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების პროექტების მომზადების ეტაპები.

2. განისაზღვროს რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა:

- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურსა და ზედამხედველობის სამსახურის რეორგანიზაციისათვის შემდეგი აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადება:

- ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტის მომზადება;

-,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების [illegible] საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის